



სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო

COUNCIL OF SIGHNAGHI MUNICIPALITY

№158

21 აგვისტო 2017 წელი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელს
ბატონ დავით ჯანიკაშვილს

ბატონო დავით,

გიგზავნით სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 აგვისტოს
განკარგულებებს

განკარგულება №54-2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან
დაკავშირებით სიღნაღის მუნიციპალიტეტში საარჩევნო სუბიექტების
ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და
დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზების შესახებ

განკარგულება №55-2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან
დაკავშირებით სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
სააგიტაციო მასალის გასაკრავად ადგილების განსაზღვრის შესახებ

პატივისცემით
სიღნაღის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გოჩა ტოკლიკიშვილი

საქართველო, 4200, ქ. სიღნაღი, დავით აღმაშენებლის მოედანი №2
Davit Aghmashenebeli Square, Signagi, 4200, Georgia

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ტელ: 23 11 10
Tel: 23 11 10
საქმის № 4905/05
21-08-2017



სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.სიღნაღი

18 აგვისტო 2017 წელი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 54

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით სიღნაღის მუნიციპალიტეტში საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით სიღნაღის მუნიციპალიტეტში საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზების მიზნით განისაზღვროს შემდეგი ადგილები:

- ა) ქ. წნორის მუსიკალური სკოლის დარბაზი (მისამართი: ქ. წნორი, რუსთაველის ქ. №6);
- ბ) სოფელ ილიაწმინდის სამუსიკო სკოლის შენობა;
- გ) სოფელ ქვ. შაჩხაანის კულტურის სახლის შენობა;
- დ) სოფელ ვაქირის კულტურის სახლის შენობა.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



გოჩა ტოკლიკიშვილი



სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.სიღნაღი

18 აგვისტო, 2017 წელი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №55


2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად ადგილების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

- 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გამოსაკრავად განისაზღვროს შემდეგი ადგილები:
 - კულტ-სახლების ფასადები და მათი კაპიტალური მესერი;
 - სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი, აგრეთვე მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი, გარდა ამ განკარგულების მე-5 პუნქტით აკრძალული შენობა-ნაგებობებისა;
 - სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებულ ბოძებზე 3 მეტრის სიმაღლეზე დაშვებით, მაგრამ თუ ბოძზე დამონტაჟებულია კვანძები, სადენები და სხვა ელ-მოწყობილობები არაუმეტეს ერთი მეტრის სიმაღლისა;
 - სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი შესაკუთრების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.
- ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცულ იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით;

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას სააგიტაციო მასალა შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი) ;
4. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო მასალის მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს, ადგილის ფართობის გათვალისწინებით, არაუმეტეს 10 ცალით;
5. აკრძალულია სააგიტაციო მასალის გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის (მის:ქ. სიღნაღი დ.ალმაშენებლის მოედანი №2,) ასევე ტერიტორიული ორგანოების ადმინისტრაციული შენობების მათი კაპიტალური შესრებით, სასამართლოს (მისამართი: სიღნაღი ც.დადინის ქ.№ 15), პროკურატურის (მის: სიღნაღი ნ.ბარათაშვილის ქ. №1 . ქ.წნორი რუსთაველის ქ.№32) თეატრის შენობის (მის: °ქ.სიღნაღი დ. ალმაშენებლის მოედანი № 4) ინტერიერსა და ექსტერიერში. აგრეთვე საგზაო ნიშნებზე;
6. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედების ვადა შეწყდეს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



გოჩა ტოკლიკიშვილი